



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 251

ქალაქი ქუთაისი 21 აპრილი 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს N643 და N680 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ამოღებული იქნეს საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან N56, N278, N279, N281, N282, N283, N284, N285, N287, N288, N290, N291, N292, N293, N296, N297, N298, N301, N305, N307, N308, N309, N310, N337, N338, N528, N529, N530, N535, N546, N548, N550, N552, N553 და N554 პუნქტები.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
643	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი N34	699.0 მიწა 316.36 შენობა	03.01.03.414
644	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი N34	699.0 მიწა 557.39 შენობა	03.01.03.414.01.501
645	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი N34	699.0 მიწა 25.18 შენობა	03.01.03.414.01.502
646	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი N34	699.0 მიწა 24.68 შენობა	03.01.03.414.01.503
647	შენობა-ნაგებობა	გრ. ხანძთელის ქუჩა N21ა	13524.0 მიწა 2736.85 შენობა	03.04.05.302
648	შენობა-ნაგებობა	პუშკინის ქუჩა N12-14/სადარაძის ქუჩა N3	2932.0 მიწა (თანასაკუთრება) 70.97 შენობა (აქედან 22.16 შემინული აივანი)	03.03.04.020.01.501
649	შენობა-ნაგებობა	პუშკინის ქუჩა N12-14/სადარაძის ქუჩა N3	2928.8 მიწა (თანასაკუთრება) 182.12 შენობა 20.78 საერთო სარგებლობის	03.03.26.125.01.507
650	შენობა-ნაგებობა	პუშკინის ქუჩა N12-14/სადარაძის ქუჩა N3	2932.0 მიწა (თანასაკუთრება) 68.76 შენობა	03.03.04.020.01.505
651	შენობა-ნაგებობა	გრიშაშვილის ქუჩა II შესახვევი N8	2670.0 მიწა 523.26 შენობა	03.04.03.445
652	შენობა-ნაგებობა	ნ. დუმბაძის ქუჩა N59-61, ნაკვეთი N1	1635.23 მიწა 1293.54 შენობა	03.04.03.473
653	შენობა-ნაგებობა	გუგუნივას ქუჩა N12	6730.0 მიწა (თანასაკუთრება) 1158.14 შენობა	03.05.01.269.01.501
654	შენობა-ნაგებობა	წერეთლის ქუჩა N6	894.0 მიწა (თანასაკუთრება) 319.92 შენობა	03.03.01.102.01.502
655	შენობა-ნაგებობა	ავალიანის ქუჩა N16	3280.0 მიწა 565.36 შენობა 13.86 დამხმარე ნაგებობა	03.02.04.111
656	შენობა-ნაგებობა	წერეთლის ქუჩა N21ა	921.49 მიწა 288.36 სამრეწველო შენობა	03.03.04.672
657	შენობა-ნაგებობა	ილ. ჭავჭავაძის გამზირი N6ა	1047.0 მიწა 213.12 სამრეწველო შენობა	03.04.07.414
658	შენობა-ნაგებობა	ახალგაზრდობის გამზირი N82ა	1580.0 მიწა 333.54 სამრეწველო შენობა	03.06.03.372
659	შენობა-ნაგებობა	ილ. ჭავჭავაძის გამზ. №37 სადგური ქუთაისი II-ს მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №1-1	770.0 მიწა 855.46 შენობა	03.04.26.173
660	შენობა-ნაგებობა	კ. გამსახურდიას ქუჩა №59-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით	2055.0 მიწა	03.05.22.159
661	შენობა-ნაგებობა	შენობა-ნაგებობის გამოყოფილი ნაწილი ნინოშვილის ქუჩა №109 (ყოფ. დუმბაძის ქუჩა №109, ნინოშვილის ქუჩა N179)	1084.0 მიწა (თანასაკუთრება), 105.93 შენობის ნაწილი	03.04.32.271
662	შენობა-ნაგებობა	ავტომშენებლის ქუჩა N55	3736.0 მიწის ნაკვეთი	03.01.23.047
663	შენობა-ნაგებობა	წმ. ნინოს ქუჩა N1-3-5 (ყოფ. N1), პუშკინის ქუჩა N3	2345.0 კვ.მ. მიწა (თანასაკუთრება) 21.7 შენობის ნაწილი	03.03.01.105.01.507
664	შენობა-ნაგებობა	გვანცელაძის ქუჩა მე-2 შესახვევი N5	1130.0 მიწა 370.0 შენობა N1	03.04.29.291
665	შენობა-ნაგებობა	თამარ მეფის ქუჩა N4	477.0 მიწა (თანასაკუთრება) 210.75 მანსარდა	03.03.21.340.01.507
666	შენობა-ნაგებობა	გაპონოვის ქუჩა N5	4529.0 მიწა 68.62 შენობა	03.03.22.097
667	შენობა-ნაგებობა	9 აპრილის ქუჩა N2, ნაკვეთი N2-4	1887.0 მიწის ნაკვეთი 261.6 შენობა	03.01.24.384

668	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი N48ა-ს დასავლეთით	4349.0 მიწის ნაკვეთი N1--134.74 N2--391.1 N3--94.07 N4--20.33 შენობები	03.01.24.523
669	შენობა-ნაგებობა	დავით და კონსტანტინეს ქუჩა Nყოფ. 2-4/გ. ტაბიძის ქუჩა N1/დავით და კონსტანტინეს ქუჩა N2	490.0 მიწის ნაკვეთი 412.28 შენობა	03.02.03.165
670	შენობა-ნაგებობა	დ. აღმაშენებლის მოედანი N2/თამარ მეფის ქუჩა N2/წერეთლის ქუჩა N1	776.0 მიწა (თანასაკუთრება) 493.15 მანსარდის სართული	03.03.21.141.01.542
671	შენობა-ნაგებობა	თამარ მეფის ქუჩა მე-3 ჩიხი N1	837.0 მიწა (თანასაკუთრება) 43.95 შენობის ნაწილი	03.03.27.162.01.500
672	შენობა-ნაგებობა	26 მაისის ქუჩა N43	1383.0 მიწა (თანასაკუთრება) ფართი N5-1 - 227.54 სამეურნეო ფართი - 66.87	03.03.21.323.01.507
673	შენობა-ნაგებობა	26 მაისის ქუჩა N43	1383.0 მიწა (თანასაკუთრება) ფართი N2 - 16.58	03.03.21.323.01.502
674	შენობა-ნაგებობა	26 მაისის ქუჩა N43	1383.0 მიწა (თანასაკუთრება) I სართული - 11.64	03.03.21.323.01.509
675	შენობა-ნაგებობა	ზ. გამსახურდიას გამზირი III ჩიხი N9	მიწა--12075 შენობა--N1-203711 N2--41.08 N3--103.83	03.05.24.763
676	მიწის ნაკვეთი	ნიკვას ქუჩა N19-ის სამხრეთით	30.0	03.05.22.569
677	მიწის ნაკვეთი	რუსთაველის გამზირი N181-ის მიმდებარედ	165.0	03.05.24.913
678	მიწის ნაკვეთი	ზუკიას ქუჩა N13-ის სამხრეთით, ნაკვეთი N1	142.0	03.01.24.604
679	მიწის ნაკვეთი	სულხან-საბას გამზირი N65-ის მიმდებარედ	6707.0	03.05.28.001
680	მიწის ნაკვეთი	სულხან-საბას გამზირი N65-ის მიმდებარედ	81.0	03.05.28.002

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი